



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

აგრარული ფაკულტეტი

აგრარული ფაკულტეტი

დამატებითი სპეციალობის (minor) პროგრამა

აგროტექნოლოგია  
( AANB)  
Agrotechnology

ქუთაისი

**1. პროგრამის სახელწოდება-** აგროტექნოლოგია **Agrotechnology**

**2. პროგრამის მოცულობა კრედიტებში:** 60 ECTS კრედიტი (1 კრედიტი=25 სთ.)

**3. სწავლების ენა-** ქართული

**4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

სტუდენტს მისცეს დამატებითი სპეციალობა და ღრმა ცოდნა აგროტექნოლოგიაში. შეასწავლოს მიწათმოქმედების, მემცენარეობა-მებოსტნეობის, მევენახეობის, სუბტროპიკული კულტურებისა და მეცხოველეობის საკითხები და მისცეს უნარი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებითა და რეგიონის აგროკლიმატური თავისებურებიდან გამომდინარე შეეძლოს ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. შეეძლოს სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა და გადამამუშავებელი წარმოებისთვის ჯიშთა შერჩევა, წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია და მართვა.

**5. დასაქმების სფერო:** ფერმერული და ინდივიდუალური მეურნეობები აგრარული მიმართულების ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

**6. დაშვების წინაპირობა:**

აღნიშნული დამატებითი სპეციალობის არჩევა შეუძლიათ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტებს, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე.

**7. სწავლის შედეგები:**

**ცოდნა და გაცნობიერება**

შესწავლილი აქვს ნიადაგმცოდნეობისა და მიწათმოქმედების საკითხები და იცის ნიადაგის ტიპები, მათი ნაყოფიერების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და ნიადაგის დამუშავების სისტემები.

შესწავლილი აქვს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების (მემცენარეობა მებოსტნეობა, მევენახეობა მეჩაიეობა, სუბტროპიკული მეხილეობა, სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები) თანამედროვე მდგომარეობა, გაცნობიერებული აქვს მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და დარგის თავისებურებანი.

იცის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დახასიათება, ჯიშებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები

დეტალურად აღწერს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

შესწავლილი აქვს და იცის რძის, ხორცის, კვერცხის, თაფლის წარმოების ტექნოლოგიები;

შეუძლია იმსჯელოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის კლასიფიკაციაზე, ნედლეულის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, მათი აღების, შენახვისა და გადამამუშავების თავისებურებებზე და ტექნიკაზე; იცის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაციონალური ექსპლუატაციის მეთოდები.

გაცნობილია წარმოების ორგანიზაცია და მართვის საკითხებს, იცის შესაბამისი დოკუმენტაციისა და ფერმერული მეურნეობის ბიზნეს გეგმის შედგენის წესები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

აქვს უნარი პრაქტიკულად წარმართოს სასელექციო, საკოლექციო, ექსპერიმენტულ, საწარმოო ნაკვეთებზე გავრცელებული ჯიშების გამოცნობის პროცესი, გადაჭრას ჯიშთა შერჩევის საკითხი.

აქვს მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

შეუძლია ვაზის გასხვლა,, მყნობა და ნერგების გამოყვანა, სუბტროპიკული კულტურების გამრავლება, მოვლა-მოყვანის აგროწესებისა და მეთოდების პრაქტიკულად გამოყენება;

აქვს უნარი პრაქტიკულად განახორციელოს მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და სატბორე მეურნეობის პროდუქციის წარმოება;

წარმართავს და ზედამხედველობას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვადამუშავების პროცესს  
შეუძლია სასოფლო სამეურნეო მანქანების სწორი ექსპლუატაცია

### **დასკვნის უნარი**

დასკვნის საფუძველზე შეარჩევს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებს და სწორად დაგეგმავს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებებს.

დაალაგებს მინდვრისა და ბოსტნეულ კულტურებს ბიოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით. განმარტავს ამ კულტურებისათვის ნიადაგის დამუშავების მეთოდებს. გამოიტანს დასკვნას რეგიონებში სამრეწველო ჯიშების გასაადგილებლად ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისად.

შეუძლია სუბტროპიკული კულტურების გარემო პირობების მოთხოვნილების გათვალისწინებით პლანტაციის გაშენების გადაწყვეტილების მიღება, ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებების გაანალიზება, შესაბამისი დასკვნის გამოტანა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება.

შეუძლია გაანალიზოს ნედლეულზე მოგროვილი ინფორმაცია, შეაფასოს და გადაჭრას პრობლემა მისი შენახვის ან დამუშავების მიზანშეწონილობაზე

აქვს უნარი მიპოვოს და გაანალიზოს ინფორმაცია უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანების და მანქანიზმების ათვისებისა და მუშაობის პროცესში ჩართვისათვის.

შეუძლია წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად ინფორმაციის მოძიება, შეგროვება და დამუშავება;

აქვს ანალიზისა და სინთეზის უნარი, პრობლემის გადაჭრა-გადაწყვეტილებების მიღების, დროის დაგეგმვისა და ორგანიზაციის უნარი.

### **კომუნიკაციის უნარი**

შეუძლია ელექტრონული ინფორმაციის გამოყენება, პრეზენტაცია და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;

შეუძლია დისკუსიებში მონაწილეობა, დროის დაგეგმვა და ორგანიზება, კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან.

საკონფერენციო მოხსენებების, თემების, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცია.

### **სწავლის უნარი**

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესების დამოუკიდებლად მართვა, აქვს შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი.

შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება.

### **ღირებულებები**

პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს.

გაცნობიერებული აქვს და შეუძლია მასზე დაკისრებული მარტივი საწარმოო პროცესების შესრულება.

ცალკეულ საწარმოო სიტუაციებში საჭიროების მიხედვით დახმარებას უწევს კოლეგებს.

იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და კრიტიკულ სიტუაციებში არ კარგავს მობილიზაციის უნარს.

### **8. სწავლებისა და სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლისა და სწავლების ისეთი მეთოდები როგორცაა:

ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფში მუშაობა. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სწავლების აქტიური მეთოდები: დისკუსია, კითხვა-პასუხი კვლევითი ჯგუფის შექმნა, დებატები, ჯგუფური განხილვები, პროექტების შემუშავება;

გამოიყენება დამოუკიდებელი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორცაა სალექციო მასალისა და საშინაო დავალების მომზადება, ბიბლიოთეკაში მუშაობა, სარეიტინგო წერისათვის მზადება, რეფერატის, დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს, პროექტის ან მოხსენების პრეზენტაციისთვის მომზადება, კონფერენციებისთვის მომზადება და მონაწილეობა.

## 9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსამრიგად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3(05.01.2007) და №785 (21.09.2009) ბრძანებებით, მათში შეტანილი ცვლილებებისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით (№12; 30.10.2009; დადგენილება№35; 10.11.2010) განსაზღვრული პრინციპებ



სწავლის შედეგების რუკა

11.

#	კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაცი ს უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებე ბი
1	ნიადაგმცოდნეობა მელიორაციის საფუძვლებით	x	x	x	x	x	x
2	მიწათმოქმედება და აგროქიმია	x	x	x		x	
3	მცენარეთა ჯიშთმცოდნეობა	x	x	x			
4	მემცენარეობა და მეზოსტნეობა	x	x	x		x	
5	მევენახეობა	x	x	x		x	
6	ჩაი და ტექნიკური კულტურები	x	x	x		x	
7	სუბტროპიკული მეხილეობა	x	x	x		x	
8	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლები და დაავადებები	x	x	x	x	x	x
9	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია						
10	სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა-გადამუშავება	x	x	x		x	
11	მეცხოველეობა	x	x	x	x	x	
12	ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია და მართვა	x	x	x		x	

## 12. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პერსონალი რომელთაც გააჩნიათ მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, აგრარული ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, აღჭურვილი კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების შემსწავლელი კლასები, სპეციალობის: ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის, სუბტროპიკული კულტურების, მემცენარეობა მეზოსტნეობის, მეცხოველოების კაბინეტ ლაბორატორიები. ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები სტუდენტებს მისცემენ საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე, ზოგიერთი პრაქტიკული მეცადინეობა ჩატარდება უნივერსიტეტის სასწავლო მეურნეობებში.

### აკადემიური პერსონალი:

**სრული პროფესორები:** ლორთქიფანიძე როზა – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი  
კინწურაშვილი ქეთევანი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

**ასოცირებული პროფესორები** ჩაჩხიანი ნუნუ – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი  
ჯობავა ტრისტანი – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი  
თაბაგარი მარიეტა – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი  
ციბაძე ზურაბი – აგროინჟინერიის დოქტორი  
სილაგაძე დალი – ბიზნესის მართვის დოქტორი

უგულავა ვლადიმერი – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი  
ჩაფიჩაძე ალექსანდრა – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

**ასისტენტ პროფესორები:** ყუბანიშვილი მაკა – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი  
კელენჯერიძე ნინო – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი  
ქათამაძე ნანა - ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი

## ანოტაციები

ნიადაგმცოდნეობა მელიორაციის საფუძვლებით - Soil science by melioration principles

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ნიადაგწარმოშობა ქანებს, ნიადაგების ბიოკლიმატურ პირობებს, ნიადაგების მინერალურ და ორგანულ შედგენილობას, ნიადაგში მიმდინარე ბიო-ქიმიურ და ფიზიკურ-მინერალურ პროცესებს; სამელიორაციო და მელიორირებული მიწების ათვისების მეთოდებს და შესაბამისად დარაიონებულ კულტურათა განლაგების წესებს; მელიორირებული მიწების სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციას, დაშრობისა და მორწყვის წესებსა და მეთოდებს; წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების მიმართულებას, ქიმიური მელიორანტების გამოყენების მეთოდებს.

სასწავლო კურსის დასრულებისას ბაკალავრი მიიღებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის საჭირო ცოდნას, როგორცაა ნიადაგის ჭარბი ტენის დაშრობის რეგულირება, ჰაერისა და ნიადაგის ტენის რეჟიმის მორწყვით გაუმჯობესების მეთოდები, წყლის მექანიკურ მოქმედებასთან ბრძოლის წესები, ნიადაგის ქიმიური მელიორაციის სახეების – აგრომელიორანტების გამოყენება, ნიადაგის ზედაპირის სამეურნეო მოწყობის მოსწორება (მოშანდაკება) და სხვა.

### **მიწათმოქმედება და აგროქიმია - Agricultural chemistry**

სტუდენტებს მისცეს ის აუცილებელი ეკოლოგიური განათლება, რომელიც საჭიროა ბიოსფეროში დარღვეული წონასწორობის აღდგენასა და შენარჩუნებისათვის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციისათვის.

კურსის გავლისას სტუდენტები გაეცნობიან ეკოლოგიის ძირითად მიმართულებებს; მეკავიკოლოგიის, სუბტროპიკული მცენარეთა ეკოლოგიის, აგროეკოლოგიის და ნიადაგის ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებს. კერძოდ, ბიოსფეროს აღნაგობასა და ბიოგეოქიმიურ ციკლებს; ანთროპოგენული ფაქტორის განსაკუთრებულ როლს ბიოსფეროში მიმდინარე პროცესებში; ბიოსფეროს წონასწორობის დარღვევის მიზეზებს და მოსალოდნელი კატასტროფების შედეგებს. საქართველოს სუბტროპიკული კლიმატის თავისებურებებს, სუბტროპიკლ მცენარეთა ინტროდუქციას და მათი გაადგილების პრინციპებს; ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მოწყობის გზებს; აგროეკოსისტემის ფუნქციონირებას ტექნოგენეზის პირობებში; ნიადაგის ეკოლოგიურ პრობლემებს; ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროეკოლოგიურ თვისებებს.

### **მემცენარეობა-მეზოსტნეობა - Plant/vegetable growing**

დისციპლინის სწავლების მიზანია მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების ბიოლოგიური თავისებურებების, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის და მეცნიერების უახლესი მიღწევების შესწავლა. სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს, მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, სიმინდი, ფეტვი, ღომი, ბრინჯი, სორგო.) სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა, მოსავლიანობა, ჯიშები, ბიოლოგია, აგროტექნოლოგია. სამარცვლე პარკოსანი კულტურების (ლობიო, სოია, ბარდა, ცულისპირა, ხანჭკოლა) მნიშვნელობა, ბიოლოგია, აგროტექნოლოგია. AMზესუმზირის, მნიშვნელობა, ბიოლოგია, აგროტექნოლოგია. შაქრის ჭარხლის, მნიშვნელობა, ბიოლოგია, აგროტექნოლოგია, კარტოფილის მნიშვნელობა, ბიოლოგია აგროტექნოლოგია. თამბაქო, საკვები კულტურები. Mმეზოსტნეობის ბიოლოგიური საფუძვლები, გვარემო პირობებისადმი დამოკიდებულება, დაცული გრუნტის სახეები, ბოსტნეულთა აგროტექნოლოგია ღია და დაცულ გრუნტში.

### **მეცხოველეობა – Cattle breeding**

სტუდენტს გააცნოს მეცხოველეობის განვითარების მდგომარეობა საქართველოში და მსოფლიოში. შეუქმნას წარმოდგენა მეცხოველეობის პროდუქციის რძის, ხორცის, კვრცხის, ბეწვის, თაფლის, აბრეშუმის პარკის მიღების ტექნოლოგიებზე. საგნის ზოგად ნაწილში სტუდენტი უნდა გაეცნოს სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კვების საფუძვლებს: საკვების მარგებლობას, კვების ნორმებს, რაციონს, საკვების კლასიფიკაციას და მისი დამზადების ტექნოლოგიას. ასევე მოშენების მეთოდებს, პირველადი აღრიცხვის ორგანიზაციას. კერძო მეცხოველეობაში უნდა ისწავლოს სხვადასხვა სახეობების - ძროხეულის, თხისა და ცხვრის, ღორის, ფრინველის, ფუტკრის, აბრეშუმის ჭიის, თევზის ბიოლოგიური თავისებურებანი, ძირითადი ჯიშები და შენახვის სისტემები, მიკროკლიმატი მეცხოველეობების ნაგებობებში.

### **მევენახეობა – Viticulture**

სტუდენტის აღჭურვა ვაზის ბიოლოგიური თავისებურებების, კულტურის მოვლა- მოყვანის ტექნოლოგიის, ვაზის გამრავლების წესების, ჯიშების სწორი გაადგილების და მეცნიერების უახლესი მიღწევების ცოდნით. ამით სტუდენტი შეძლებს ვაზის ჯიშების სწორ გაადგილებას საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატის შესაბამისად. სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მევენახეობის მნიშვნელობა, წარმოშობის ისტორია, მევენახეობის ძირითადი რაიონები საქართველოში, ვაზის



ნაწილების აღწერა, ვაზის ბიოლოგიური ნაწილების განვითარების ფაზები, ბუნებრივი ფაქტორების გავლენა ვაზზე, ვაზის გამრავლების წესები, სასათბურე მეურნეობა, ვაზის გაშენება, ვაზის სხვლის და ფორმების საფუძვლები, ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციები, ნიადაგის მოვლა, ვაზის დავადებები და მავნებლები. რთველი. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეიძენს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ ცოდნას. ეცოდინება საჭირო ოპერაციის სწორი ჩატარება, შეძლებს მაღალი მოსავლის მიღებას.

### **ჩაი და ტექნიკური კულტურები – Tea and technical cultures**

კურსის მზანია სტუდენტებს შეასწავლოს ჩაის და სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების (ეთერზეთოვნების, ტექნიკური ცხიმზეთოვნების, სართავბოჭკოვნების და სხვა) ძირითადი სამეურნეო ნიშან-თვისებები, მათი ნედლეულისა და მზა პროდუქციის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

კურსის გავლისას სტუდენტები გაეცნობიან ჩაისა და სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების მწარმოებელი საზღვარგარეთის ქვეყნების ბუნებრივ კლიმატურ პირობებს; საქართველოს სუბტროპიკული კლიმატის თავისებურებებს; ჩაის და სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების ძირითად ბიოეკოლოგიურ თვისებებს; მათ აგროტექნოლოგიას და გაადგილების კანონზომიერებებს საქართველოს ტერიტორიაზე; პერსპექტიულ ჯიშებს და სამრეწველო სახეობებს. ამ კულტურების ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის საფუძვლებს.

### **სასოფლო-სამეურნეო მანქანები- Mechanization of agriculture**

ნიადაგის დამუშავების სახეები; ხვნის სახეები; ნიადაგის ტექნოლოგიური თვისებები და მათი განსაზღვრის ხერხები; გუთენის სამუშაო ორგანოები; ბალის გუთანა; ვენახის გუთანა; სპეციალური დანიშნულების გუთნები; ნიადაგის ზედაპირული დასამუშავებელი მანქანების დანიშნულება; დისკობიანი ფარცხები; კულტივატორები; კბილებიანი ფარცხები და საგორავები; თავთავიანი კულტურების სათესი მანქანები; სათოხნი კულტურების, სათესი და სარგავი მანქანები; მინერალური სასუქის შემტანი მანქანები; მცენარეთა ქიმიური დაცვის მანქანები.

### **სუბტროპიკული მეხილეობა – Subtropical fruit growing**

სტუდენტებს გააცნოს საქართველოში გავრცელებული ხეხილოვანი კულტურები, შეასწავლოს მათი ბიო-მორფოლოგიური და სამეურნეო თავისებურებანი, ეკოლოგიური პირობებისადმი დამოკიდებულება და რაიონული ჯიშები. სუბტროპიკულ მეხილეობაში მსოფლიო გამოცდილება. მწვანე მშენებლობაში სუბტროპიკული ხეხილოვნების შესაძლე-ბლობა. შესწავლილი იქნება სუბტროპიკულ ხეხილოვანთა ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება, ბიო-ეკოლოგიით სანერგე მეურნეობის მოწყობა, ბალის გაშენებისა და მოვლის ღონისძიებები, ცალკეული სუბტროპიკული ხეხილოვნების სპეციფიკა.

### **სასოფლო-სამეურნეო დაავადებები და მავნებლები - Agricultural diseases and wreckers**

სტუდენტს შეასწავლოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლები და დაავადებების გამომწვევი ორგანიზმები, მათი გავრცელების არეალი, მავნებელ-დაავადებებისაგან მიყენებული სამეურნეო ზარალის აღრიცხვა მათი განვითარების ხელშემწყობი პირობები და ბრძოლის ეფექტური ტექნოლოგიები.

კურსის გავლის შემდეგ სპეციალისტს ეცოდინება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითადი მავნებელ-დაავადებები, მათი კლასიფიკაცია, გავრცელების აღრიცხვა, მცენარეთა დაზიანების ფორმები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

### **მცენარეთა ჯიშთმცოდნეობა - Science of Plants breeding**

აუხსნას სტუდენტს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების მნიშვნელობა, რომ თითოეულ ჯიშს შეუძლია დაიკავოს განსაზღვრული ადგილი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნას და რაც უფრო აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, მით მაღალია მისი სამკურნალო ღირებულება. ამავე დროს, არ არის ისეთი ჯიში, რომელიც ერთნაირი წარმატებით მაღალ შედეგს იძლეოდეს ნიადაგისა და კლიმატური პირობებით განსხვავებულ სხვადასხვა რაიონში;

ჩამოუყალიბოს თანამედროვე შეხედულება მცენარეთა ჯიშთმცოდნეობის ფუნდამენტურ საკითხებზე: ცნება ჯიშის შესახებ; ჯიშთა კატეგორიები; ჯიშთგამოცდის სახეები; ჯიშების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა; სისტემატიკა და საწყისი ფორმები; ჯიშების დარაიონება და შედარებითი დახასიათება.

შეასწავლოს თითოეული ჯიშის მეტ-ნაკლებად ნათლად გამოხატული მორფოლოგიური ნიშნები, რის მიხედვითაც ის გარეგნულად განსხვავდება სხვა ჯიშებისაგან, რომლებიც აუცილებელია მათი ამოცნობისათვის.

## **სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა-გადამუშავება - Agricultural raw materials storing and reproduction**

კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს საგნის მნიშვნელობა და შეასწავლოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვისა და გადამუშავების საფუძვლები, გააცნობიეროს საგნის როლი და დანიშნულება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა – გადამუშავების საქმეში, შეასწავლოს ნედლეულის შენახვის პრინციპები, თავისებურებანი, შენახვის მეთოდები და ის პროცესები, რომლებსაც ადგილი აქვს მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, პირველადი დამუშავების, შენახვის და გადამუშავების დროს. იმსჯელოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის (განსაკუთრებით სუბტროპიკულის) კლასიფიკაციაზე, ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, მათი აღების, შენახვა-გადამუშავების თავისებურებებზე და ტექნიკაზე; გაანალიზოს ნედლეულზე მოგროვილი ინფორმაცია, შეაფასოს და გადაჭრას პრობლემა, მისი შენახვის ან გადამუშავების მიზანშეწონილობაზე; პრაქტიკულად წარმართოს და ზედამხედველობა გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა-გადამუშავების პროცესს და შეაფასოს იგი.

## **ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია და მართვა - Farming organization and management**

გააცნოს სტუდენტებს საწარმოთა ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებები სოფლის მეურნეობაში; ფერმერული მეურნეობის ფორმირება და მართვა; მიწის რესურსები და მათი ეფექტურად გამოყენების ორგანიზაცია და მიწათსარგებლობის მართვა. მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა. პროდუქციის თვითღირებულება და რენტაბლობა ფერმერულ მეურნეობებში; ფერმერული მეურნეობის მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა.